

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში
N15-ელვა შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები:**

1. გაუქმდეს **დანართი 15 - ელვას** არსებული რედაქცია და დაემატოს ახალი რედაქცია, რომელიც განისაზღვრება შემდეგი სახით:
 1. ფიზიკური პირის მიერ შესაძლებელია **ელვა ფულადი გზავნილის** გაგზავნა ან/და მიღება საქართველოში მხოლოდ **ბანკის** შიდა ქსელში.
 2. **ფულადი გზავნილის** გაგზავნა ან/და მიღება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს.
 3. **ელვას** საშუალებით **ფულადი გზავნილის** გაგზავნა შესაძლებელია **სერვისცენტრის, ინტერნეტ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 4. **ელვას** საშუალებით **ფულადი გზავნილის** მიღება შესაძლებელია **სერვისცენტრში, ტელეფონ ბანკის, მობილ ბანკი, ინტერნეტბანკი, თვითმომსახურების ტერმინალის** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 5. **ტელეფონ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის, მობილბანკის, ინტერნეტბანკის** საშუალებით **ფულადი გზავნილის** მიღებისას აუცილებელია **ფულადი გზავნილის მიმღები** ფლობდეს **ბანკის ბარათს**.
 6. **ელვა ფულადი გზავნილის** გაგზავნა/მიღება შესაძლებელია ლარი, აშშ დოლარი, ევრო.
 7. **ელვა ფულადი გზავნილის** მიღება დაშვებულია შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე.
 8. შესაძლებელია **ფულადი გზავნილის** დაბრუნება, რაც გულისხმობს გამგზავნისათვის **ფულადი გზავნილის** თანხის უკან დაბრუნებას, იმ შემთხვევაში თუ **ფულადი გზავნილი** ჯერ კიდევ არ არის განაღდებული **მიმღების** მიერ. ამასთან **ფულადი გზავნილის** დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნებას არ ექვემდებარება გამგზავნის მიერ გადახდილი **საკომისიო**.
 9. გამგზავნი უფლებამოსილია მოახდინოს **ფულადი გზავნილის** რედაქტირება, რაც გულისხმობს **ფულად გზავნილში** მითითებული **მიმღების** სახელის და გვარის ცვლილებას, იმ შემთხვევაში თუ **ფულადი გზავნილი** ჯერ კიდევ არ არის განაღდებული **მიმღების** მიერ. **ფულადი გზავნილის** სხვა ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება საჭროებს **ფულადი გზავნილის** დაბრუნებას და ახალი გზავნილის განხორციელებას, რა დროსაც გამგზავნის მიერ გადახდილი **საკომისიოს** არ ბრუნდება.
 10. **ელვა ფულადი გზავნილის საკომისიოს** ოდენობა დამოკიდებულია **ფულადი გზავნილის** თანხაზე და ვალუტაზე. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია **ბანკის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.